

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

### „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღარ ითვალისწინებს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების მარეგულირებელ ნორმებს, ვინაიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მოცემული საკითხის დარეგულირების მიზნით მომზადებულიყო ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაარეგულირებდა აღნიშნულ საკითხებს და სრულ შესაბამისობაში იქნებოდა საერთაშორისო ნორმებთან და სტანდარტებთან. შესაბამისად, მომზადდა წარმოდგენილი საკანონმდებლო აქტი.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების სრულყოფილი დარეგულირება.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ არეგულირებს სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის, ექსტრადიციის, სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მათი სათანადოდ დამოწმებული ასლების შემდგომი წარმოების მიზნით გადაგზავნისა და თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ პირთა გადაცემისა და გადმოცემის პროცედურებს. წარმოდგენილ კანონპროექტში სრულად არის ასახული სისხლის სამართლის სფეროში არსებული შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების დებულებები, ასევე აღნიშნულ სფეროში არსებული პრაქტიკული საკითხები. განსხვავებით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, წარმოდგენილ კანონპროექტში დეტალურად არის მოცემული გარკვეული სახის სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობების (მაგ. სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პირის გამოძახება, ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების შესახებ შუამდგომლობა და სხვ.) შედგენისას გასათვალისწინებელი გარემოებები.

წარმოდგენილ კანონპროექტში სიახლეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სავალდებულო აღარ იქნება ყველა კატეგორიის (მათ შორის მსუბუქი) დანაშაულის ჩადენისათვის პირის ექსტრადიციის განხორციელება და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ექნება დისკრეციული უფლებამოსილება, რათა გადაწყვიტოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვოს თუ არა პირის ექსტრადიცია. ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, მკაცრად არის განსაზღვრული ის გარემოებები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ პირის ექსტრადიციის შესახებ შუამდგომლობის მომზადების პროცესში.

განსხვავებით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, წარმოდგენილ კანონპროექტში ასევე დეტალურად არის განსაზღვრული ექსტრადიციის დამაბრკოლებელი გარემოებები.

განსხვავებით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, წარმოდგენილ კანონპროექტში დეტალურად არის აღწერილი სისხლის სამართლის საქმის მასალების ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლების უცხო სახელმწიფოში გადაგზავნის საფუძვლები და პროცედურა, რაც სათანადოდ არ იყო დარეგულირებული საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში ბევრ სირთულეს წარმოშობდა.

გარდა აღნიშნულისა, წარმოდგენილი კანონპროექტში დეტალურად არის აღწერილი მსჯავრდებულ პირთა იმ სახელმწიფოსათვის გადაცემის (გადმოცემის) პროცედურები, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან.

#### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

**ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

კანონპროექტის მიღებით სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ დაეკისრება.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:**

ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:**

არ არის წინააღმდეგობაში ევროკავშირის დირექტივებთან მიმართებაში.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:**

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებები.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**  
არ არსებობს.

**დ.გ) კანონპროექტის ავტორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია

**დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:**

საქართველოს პარლამენტის წევრები: პავლე კუბლაშვილი, ლაშა თორდია